საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/247 " 17 " სექტემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის“:

ა) 12^1 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით შერჩეულ კანდიდატთა სიას. განხილვის დასრულებისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოსამართლეობის იმ კანდიდატების შესახებ, რომელთა დოკუმენტებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოსამართლეობის კანდიდატის განათლების, მისი სამუშაო გამოცდილების, პროფესიული და აკადემიური მიღწევების შესახებ. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 14 დღისა, უფლება აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ. ასეთი ინფორმაცია მხედველობაში მიიღება მხოლოდ მისი გადამოწმების შემდეგ.“;

ბ) მე-12^2 მუხლის:

ბ.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ინფორმაციის მოძიებისას დეპარტამენტი გამოითხოვს მონაცემებს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან - მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან - ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსამართლეობის კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტიდან - სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან - სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე;

ე) იმ სასამართლოდან, სადაც მოსამართლეობის კანდიდატი ახორციელებს/ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას ან სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან - შემთხვევითობის პრინციპის დაცვით შერჩეულ 5 საქმეს, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული (მათ შორის, არანაკლებ 2 საქმე (არსებობის შემთხვევაში), რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა);

ვ) სს „კრედიტინფო საქართველოდან" - მოსამართლეობის კანდიდატის მიმდინარე და ვადაგადაცილებული დავალიანების თაობაზე;

ზ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიიდან - ეთიკის კომისიის მიერ შეფარდებული სახდელების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან - სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ნაშრომს, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) რეკომენდატორებისგან (არანაკლებ ორი) - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის შესახებ, რეკომენდაციის სტანდარტული ფორმის მეშვეობით;

კ) თანამშრომლებისგან, ყოფილი დამსაქმებლებისა და კოლეგებისგან, შესაბამისი სასწავლებლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისგან - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის შესახებ, სპეციალური კითხვარის მეშვეობით;

ლ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან - მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაზე კანდიდატის მიერ მიღებულ შეფასებებს, კანდიდატის პროფესიულ წვრთნასა და პროფესიულ აქტივობებთან დაკავშირებულ მონაცემებს;

მ) სასამართლოდან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან - ბოლო სამი წლის სტატისტიკურ მონაცემებს საქმეთა განხილვის რაოდენობრივი მაჩვენებლების, საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).";

ბ.ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. დეპარტამენტი მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოიძიებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;

ბ) მედიასა და ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომ ინფორმაციას;

გ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებულ ინფორმაციას;

დ) სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაციას;

ე) წინა კონკურსების მიმდინარეობის პერიოდში დადგენილი წესით მოპოვებულ იმ ინფორმაციას, რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე არ საჭიროებს გადამოწმებას ან განახლებას;

ვ) სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიერ ჩატარებული სასამართლო სხდომების ვიდეოჩანაწერებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის სურვილის შემთხვევაში.";

გ) 12^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების დაწყებიდან არაუადრეს 1 კვირისა და არაუგვიანეს 1 თვისა ინფორმაციის მოძიების შედეგებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრების ჩატარებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე უზრუნველყოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის მის შესახებ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მოსამართლეობის კანდიდატს ასევე უფლება აქვს, გასაუბრების დასრულების შემდეგ ნებისმიერ დროს გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. ინფორმაციის წყარო კონფიდენციალურია. მოსამართლეობის კანდიდატი აღნიშნულ ინფორმაციას ეცნობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი